სიტყვების გზაჯვარედინი

მოსწავლეები წერენ და კითხულობენ სიტყვას სხვადასხვა კომბინაციაში.

მოსმენილის გაგება	ფონოლოგიური უნარები	ანბანის ცოდნა	სიტყვების დეკოდირება და ცნობა	ლექსიკური მარაგი	გაწაფული კითხვა	გაგება-გააზრება	წერა

კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი/ინდივიდუალური.

რესურსი: დიდი ფორმატის ფურცელი/დაფა, მარკერი/ცარცი.

მსვლელობა

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ ერთი სიტყვა და დაფაზე ან დიდი ფორმატის ქაღალდზე დაწერონ სიტყვა ზემოდან ქვემოთ.
- მოსწავლეები გამოდიან მორიგეობით და თითოეულ ასოს ჰორიზონტალურად მიაწერენ ასოებს ისე, რომ იგივე (ვერტიკალურად დაწერილი) სიტყვა მიიღონ ყველა ჰორიზონტალურ ხაზზეც.

ვარიაცია

შეიძლება მასწავლებელმა ბავშვებს შესთავაზოს სიტყვის დაწერის განსხვავებული ფორმაც. მაგალითად, სიტყვა ჩამოწერონ სამკუთხედის ფორმით.

ნიმუში

		თ	ა	გ	ვ	ი
	თ	**ა**	გ	ვ	ი	
თ	ა	**გ**	ვ	ი		
		ვ				
		ი				

ვ				
ვ	ხ			
ვ	ხ	ა		
ვ	ხ	ა	ტ	
ვ	ხ	ა	ტ	ა
ვ	ხ	ა	ტ	ა	ვ